

ზაალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე

ზაალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე [10 (22).IX. 1865, სოფ. იგოეთი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, - 10. IX. 1920, თბილისი], პედაგოგი, პირველი ქართ. საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოების ავტორი. პედ.

მოღვაწეობას ეწეოდა ერევანსა (1897-1902) და გორში (1902-18).

შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელოები: “საზოგადო

ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება” (1890), “საზოგადო მინათმოქმედება” (1891), “მეფუტკრეობა, მოშენება და მოვლა ფუტკრისა” (1897), “არაორგანული ბუნება. ჰაერი, წყალი და დედამიწა” (1917), “ბოტანიკა”, “ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია”, “ზოოლოგია” (სამივე გამოვიდა 1918), “პირველდანიყებითი გეოგრაფია”, “არითმეტიკა” (1919).
